საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 1 მარტი, 2023 წელი

დრო: 13:00 - 15:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემი თბილისი
4. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
6. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
7. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
8. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
9. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
10. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
11. ლაშა ბლიაძე - პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

1. განცხადების შემუშავება პარლამენტის თავმჯდომარესთან სეხვედრის შესახებ

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.
საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭომ, 28 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრის მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა მმართველი უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტი "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ".

პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე, ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლების მხრიდან ცალსახად და მკაფიოდ, არგუმენტულად დაფიქსირდა ოზიცია, რომ აუცილებელია, კანონპროექტები საწყის ეტაპზევე იქნეს უარყოფილი მართველი უმრავლესობის მიერ და არ მოხდეს მათი პირელი მოსმენით მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებას წარმოაჩენს, როგორც პრინციპების დონეზე ანტიდემოკრატიული, ანტიევროპული ინიციატივის მხარდამჭერს, რაც შეუთავსებელია საქართველოს მიერ გაცხადებულ ევროპულ მისწრაფებებთან.

საკოორდინაციო საბჭო მიიჩნევ, რომ ამ კონკრეტული შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება არ ასახას დიალოგისა და განხილვის სრულ სურათს, და საჭიროდ მიიჩნევს განმარტების გაკეთებას აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭომ შეხვედრაზე ერთობლივად მოამზადა განცხადების ტექსტი.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე